პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

სსო მეტრი: ხელსაყრელი გარემოს შექმნისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების გზამკვლევი

განხორციელების ვადა: 01.01.2021 - 31.12.2023

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 799 999

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
European Center for Not-for-Profit Law Stichting (Netherlands), Transparency International Anti-Corruption Center (Armenia), MG Consulting LLC

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
https://twitter.com/enablingNGOlaw

პროექტის ვებსაიტები: csometer.info/

პროექტის აღწერა:

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა შეფასდეს გარემო, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უწევთ ოპერირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და განხორციელდეს აღნიშნული გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ადვოკატირების პროცესი. სსო მეტრი აფასებს, როგორც კანონდებლობას, ისე პრაქტიკულ გარემოს იმ ძირითად მიმართულებებში, რაც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, რომელიც მოიცავს, როგორც გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას, ისე დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას და პირადი ცხოვრების ხელშუხებლობის უფლებას. შემუშავებულ სტანდარტებზე და ინდიკატორებზე დაყრდნობით სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი აფასებს თითოეული მიმართულების მიხედვით შესაბამისობას ქვეყნებში. სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის სიძლიერეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მისი შემუშავება სიღრმისეული საკონსულტაციო და თანამშრომლობით პროცესზე დაყრდნობით მოხდა, იგი ადგილობრივ დონეზე გაწეული ძალისხმევის შედეგია და მოიცავს ქვეყნების კონტექსტიდან გამომდინარე პარტნიორების მიერ იდენტიფიცირებულ აქტუალურ საკითხებს. შედგომი 3 წლის განმავლობაში, ქვეყნის პარტნიორებთან ერთად განვაახლებთ ინსტრუმენტს და დავნერგავთს ქულების მინიჭების მოდელს, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სიღრმისეულად შევადაროთ ერთმანეთს სფეროები და ქვეყნები წლების მიხედვით. ასევე დაგეგმილი გვაქვს სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის შემდგომი განვითარება და ახალი აქტუალური საკითხების მოცვა, როგორიცა ხელოვნური ინტელექტის ან ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ქვეყნებში არსებულ სამოქალაქო ჯგუფებზე მათი გავლენის შესაფასებლად. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კომუნიკაცია დავამყაროთ კიდევ უფრო მეტ ორგანიზაციასთან და

მოსალოდნელი შედეგები:

- არსებობს სსო-ების ძირითადი ჯგუფი, რომელიც აქტიურადა იყენებს მონიტორინგის ხელსაწყოს და ადვოკატირებას უწევს სამოქალაქო საზოგადოების გარემოს გაუმჯობესებას. ინსტრუმენტის შემდგომი განვითარება მიზნად ისახავს ინსტრუმენტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებული დიალოგის გაძლიერებაში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან მიმართებაში

- სსო-ები მონიტორინგის ინსტრუმენტის გამოყენებით რეგულარულად ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების გარემოს მინიტორინგს აქტუალური საკითხების ირგვლივ, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ დონეზე, აქვეყნებენ მონიტორინგის ისტრუმენტის შედეგებს და გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს, ამავდროულად მონიტორინგის ინსტრუმენტი ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის, საფრთხეების და შემზღუდავი ფაქტორების გამოვლენას.